მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო– საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №7

ქ. მარტვილი 9 აგვისტო, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12 ^{00}სთ-ზე, დამთავრდა 13^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ მელიავა, ლევან სურმავა, ირაკლი დიხამინჯია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია და მიხეილ ნჭყებია.
სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მელიავა.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ დღის წესრიგი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.
მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და დადგენილების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 4. წინააღმდეგი 0. თავი შეკავა 2.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
კომისიის თავმჯდომარე/
მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა.
მოისმინეს 2: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 4. წინააღმდეგი 0. თავი შეკავა 2.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ მელიავა